



სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი ჩაერთო ქ. თბილისის გამწვანების აქციაში, რომლის ინიციატორია საქართველოს პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი ილია II.

2009 წლის 2 დეკემბერს 13 საათზე სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიმდებარე ტერიტორიაზე (ანა პოლიტკოვსკაიას - ყოფილი ჯიქიას ქ. № 9) განხორციელდა ასამდე ნერგის დარგვა. აქცია ჩატარდა ქალაქ თბილისის მერიის პატრონაჟით.

ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღეს სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებმა და თანამშრომლებმა, თბილისის მერიის წარმომადგენელმა ეკოლოგიისა და გამწვანების დარგში გიორგი ქორქაშვილმა, ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტმა მეუფე დანიელმა და დედა ელენემ, ქაშუეთის ეკლესიის წინამძღვარმა, დეკანოზმა ბიძინა გუნიაძე.

ქალაქის გამწვანებაში სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი მომავალშიც მიიღებს მონაწილეობას.